



აგმანი პ. კალაძეამისა.

გამოცემა მუშისა, № 4

თფილისი
სტამბა კ. თავართქმლაძისა
1 9 0 6

3. მიზანები


СКАЯ

Городская
библиотека

ОТД. № 1

କାନ୍ଦୁଗାସ

କେବଳିତ୍ୟାଙ୍କ



ବ୍ୟାକିଲୁଗ୍ରମୀ ୪

163.

四

ଅନୁଷ୍ଠାନିକ
ସଂପର୍କ ଓ ବିଜ୍ଞାନାଧିକାରୀ
୧୯୦୬



3. ლიბანესტი

3. მარგარეტა

ბარიკის რევოლუცია

1848

24 თებერვალს 1848 წელს პარიჟის პრო-
ლეტარიატმა დიდის ამბით დასწრა ბასტილის
მოედანზე „მეშჩანების მეფეს“ დიდებული სუ-
რათი. სამი დღის მედგარი ბრძოლის შემდეგ
„საზიზღარმა რევოლუციამ“ კისერი მოუგრიხა
იმ პოლიტიკას, რომელსაც ოთაზი საუკეთესო
რესპუბლიკის“ პოლიტიკას ეძახთა და რომელსაც
ლუი ფილაპემ 18 წლის მართვა — გამკეობის განხა-
ვლობაში, საზოგადო სახელმწიფო მოვალეობის სისტემის
ხასიათი მისცა. ეს გამარჯვება მხოლოდ და მხო-
ლოდ მუშათა მოპოებული და მათ ძვლებზე აშე-
ნებული იყო. იბრძოდენ მუშები, სიხლს ღვრი-
დენ მუშები და ბურუუაზია კი ბრძოლის დროს
სოროებში შემძვრალი, გამარჯვების დროს
უცბათ გამოჩნდა და ზუშების სისხლით მოპო-
ებული გამარჯვება თვითონ დაისაკუთრა. მუშებია
სისხლი დალვარეს, თავკანწირული ბრძოლით
თავისუფლება მოიპოვეს და ბურუუაზიაც კი,
რომელსაც ერთი წვეთი სისხლი არ დაუღვრია
ისარგებლა ამ გამარჯვებით, მთავრობა ხელში

ჩაიგდო და გაბატონდა. შედგა დროებითი მთავ-
რობა. რომელშეც მოხვდენ მხოლოდ ბურუუ-
ზიული რესპუბლიკანელები (კრემიე, არაგო,
მარნე პაუე, მარრა და მარი) და „უკუცირისძის“
მოტრფიალე წვრილ ბურუუზიული რესპუბლიკა-
ნელები. (რედლუი როლლენ, ფლოკონი და სხ.)
რომ უფრო აეხვიათ თვალები პროლეტარია-ტისტების „ახალმა ბატონებმა“ გვერდით მოისვეს
„მეცარეტე გუჭივით“ სოკიალისტი ლუი ბლანი
(რომელმაც ბოლოს თავი დაანება მათ) და „მუ-
შა“ ალექსი. თავმჯდომარეობდა ენამრავილი
ლამარტინი, რომელიც ცდილობდა ზედმეტი
ლაპარაკით და ლაყბობით. დაეფარა ყოველივე
შეცდომა და ნაკლულებანება.

მუშების თხოვულობდენ „საქშეს“ ან „საქმე“
ან „დაპირება მაინც განსაზღვრული, გათავრილი“

„დილით უა თებერვალს—ასე იწყებს ლუი
ბლანი ამ სურათის აღწერას—დროებითი მთავ-
რობა მეცარეტე უბნის ორგანიზაციას შედგენას შე-
უდგა. ამ დროს უცბათ კარები გაიღო და დარბაზში
შემოვიდა მუშა, რომელმაც ყველა იქ მყოფზე
(მათ რიცხვში ლუი ბლანტეც) ისეთი შთაბეჭდი-
ლება მოახდინა თითქმ მათ წინ ადამიანი კი არა
ყორდილი იყო.“

დიახ, მართლაც რომ ის აჩრდილი იყო,

აჩრდილი რევოლუციის, რომელმაც მოაგონა
ლუი ბლანს და ძმათა მათ, რომ მათ ჯერ უფრო
საჭირო და მნიშვნელოვანი საქმე ჰქონდათ მო-
საწყობი, ვიდოე პარიუის მთავრობის მოწყობა.

„პირის სახე გაფით ჩებული ქონდა. თვალები
ცეკხლივით ანთებული და ხელში თოფი ეჭირა.
ვინ ვამოგზავნა ის? რა უნდოდა მას? მან განა-
ცხადა, რომ რს აქ მოვიდა ხალხის მონდობი-
ლობით. ამაყად ხელი გაიშვირა სასახლის წინ
მოედნისკენ, საღვანის აუარებელო—ხალხის ხმა
ისმოდა. გაჯავრებით ~~დაჭური~~ ისტუტე ~~თოფის~~
კონდახი და მოითხოვა შრომის უფლება. მუშან
შირშის ექანდება“

„ამ გვარათ პირველათ წარსევა პროლეტა-
რიატი მთავრობის წინაშე. მარშმა მედგრათ შე-
ძახა შაო: ხალხი უნდობლობას უცხადებს დროე-
ბით მთავრობას ის შეს არ ენდობა, და მანამ არ
დაიშლება სანამ საბოლოოთ უზრუნველყოფილი
არ იქნება მათი არსებობა, სანამ დაკანონებული
არ იქნება, რომ მათ სამუშაო მიაწოდონ. ლა-
მარტინმა მოინდომა მისი დამშვიდება, მარა მა-
რტეა უცბათ გააწყვეტინა შეს — მოთაფლული“
სიტუა: კმარა, კმარა, სიტყვებს თავი დაანებეთ.
კმარა პოლიტიკური ხრიკები. ხალხი გიბრნამებს
თქვენ მის მოსამსახურეებს დააკანონოთ შრომის

უფლება. ამაზე ლამარტინმა უპასუხა, რომ თუ
გინდ ზარბაზანის პირზე შიშაკრან ასეთ უაზრო
დეკრეტს, რომელიც თავის დღეში არ განთო-
რციელდება ხელს არ მოვაწეროს მან ხელი და-
უჭირა მუშას და გაცხარებით დაუწყო ახსნა იმ
განცაცდელის, რომელიც რესპუბლიკას მოე-
ლოდა. ის ცდილობდა როგორმე უარი ეჯტე-
ვინებია მისთვის ამ მოთხოვნილებაზე. მარში პა-
ინც თავისას გაიძახოდა: ჩვენ ვთხოულობთ დე-
კრეტს ამასთანავე ჩვენ ძალას არ ვატანთ მთავ-
რობას, რომ დაჩქარებით სისრულეში მოიყვანოს
ჩვენი მოთხოვნილება, რადგან ამით ხელს შე ვუ-
შლით ასეთ გაჭივრებულ დროს. ხალხი თანა-
ხმაა სამი თვე ვადა მისცეს მათ..!“

იმ დროს როცა მარში და ლამარტინი ამ
ამბავში იყვენ, ლუი ბლანმა, რედლიუ როლენმა
და ფლაკონმა ხელათ შეადგინეს, დეკრეტი
რომელსაც ხელი მოაწერეს დროებით მთავრობის
დანადრჩენმა წევრებმა და მათ რიცხვში ლამარ-
ტინმაც, მიუხედავათ იმისა რომ ის მოელი თავი-
სი არსებით სრული წინააღმდეგი იყო ამისი.

დეკრეტის შინაარსი ასეთი იყო:

„საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთა-
ვრობა მოვალეთ თვლის თავს უზრუნველ ჰყოს
მუშათა არსებობა სამუშაოს მიწოდებით, ამასთა-

ნავე ის მოვალეა სამუშაო მისკეთ ყველა ბოქა-
ლაქეს. ის საჭიროთ სცნობს მუშათა შეერთებას,
რომ ყველამ ისარგებლოს შრომის ნაყოფით".

მარშმა მიიღო ამ დეკრეტის პირი, რომე-
ლიც იმ დღესვე გამოაცხადეს ოფიციალურ გაზეთ
„moniteur“ ში მშომელზა ხალხმა მიღო სამი თვის
შიმშილის კექშილი. როგორ გამოისყიდა მთავ-
რობამ ეს ვექშილი ამას ეხლავე დავინახავთ,

სამი დღის შემდეგ 28 თებერვალს შესლევა
„მუშათა კომისია“ რომ სამუშაოს სამინისტროს
მაგიერ პროლეტარიატისთვის ოქროს ბეჭედი და
ვერცხლის ლამბაჭი მიეძღვნათ. ლურ ბლანი
თუმცა პირველათ წინააღმდეგი იყო და არ უნ-
დოდა ამ კომედიაში მონაწილეობის მიღება, რა არა
ბოლოს თანახმა გახდა და 1 მარტს მისი თავ-
მჯდომარეობით ლიუქსენბურში მოწვეულ იქნა
კომისია. ცეხების დელეგატებმა უმუშათა პარლა-
მენტობია“ ითამაშეს.

საჭირო იყო დაჩქარებით მიეღოთ რაზე ლო-
ნის ჭიება მშიერი ხალხის დასაკმაყოფილებულათ.
საშიშარმა ვაჭრობის და მრეწვოლების კრიზისა,
რომელმაც მთელი ქვეყანა შემოიარა და ინგლი-
სიდან საფრანგეთში გადმოვიდა საბოლოოთ დასკა-
ვაჭრობა და წარმოება. კრიზისმა ბოროტ კაპი-
ტალისტების წყალობით, რომლებსაც უნდოდათ

ამით ესარგებლათ რესპუბლიკის წინააღმდეგ, უფრო მავრათ გაიდგა ფეხი. ცხადია, რომ თებერვლის რევოლუციის არავითარი საბუთი არ მიუკია კრიზისისათვის, ის რევოლუციის გამოწვევული არ ყოფილა. წინააღმდეგ კრიზისში კი გავლენა იქნია თებერვლის რევოლუციაზე. ასეა თუ ისე ხალხი საშიშარ გაჭირებაში იყო ჩაცინული. პროლეტარიატი პრინციპიალურათ წინააღმდეგი იყო ქურდობის, და მდიდრების დარბევის როგორც ამას ურჩევდა რესპუბლიკის უკიდურესი მტერი დელამარი ამიტომ საჭირო იყო ძალა უნდებურათ რამე გადაწყვეტილებას დასდგომოდენ და კუჭის კითხვა საბოლოოთ გადაწყვეტილათ, მით უმეტეს რომ მშეერ კუჭების პატრონებს თოფ-იარალიც ჰქონდათ.

დარსდა ნაციონალური სახელოსნოები. თანა-ზედოვე ისტორიის და გადამახინჯებლები ამტკიცებულენ და ამტკიცებენ, რომ ნაციონალური სახელოსნოები სოციალიზმის შვილი იყოვთ. ნამდილათ კი ეს სახელოსნოები სოციალიზმის სასტიკ პოწინააღმდეგის მართვა მოწყობილი იყო. მართვის ოთხი კურდღლის დაჭერა უნდოდა ამით: პიოველათ მას უნდოდა ამით სიძულვილი და ზიზღი დაუკესა სოციალისტურ მისწრაფების წინააღმდეგ და ლიუქსენბურგის კომისიით სრომელშიც სოცია-

ლიზმი შეფობდა, მოწინააღმდეგე პარტია შეექნა
და მისთვის დაეპირდაპირებია, მეორე მას უნდოდა
შედეგენა რაზმი შუშა-სოციალისტების წინააღ-
მდეგ. თომა, რომელიც ხელმძღვანელობდა ნაციონ-
ნალურ სახელოსნოებს „(მა გენერალ თომასი, რო-
მედაიც მოკლეს 18 მარტს 1871 წელს“) მოგვი-
ოხებობს, რომ 1848 წელს ჩაიში მარიმ შემდეგი
უასრო მას: არ შესწუხვეთ მუშების გამრავლე-
ბით ნაციონალურ სახელოსნოებში, რაც მეტი
იქნება მით უკეთესა, მხოლოდ ეცადეთ თქვენკენ
მიმხროთ. ფულებს ნუ დაზოგავა; უკანასკვნელ
შემახვევაში თქვენ საიდუმლო ფონდიდან მა-
ილებთ ფულებს. რო არ ფიქროთ შეგიძლიათ
თუ არა უწინ მძღვრო ამ ხალხს? შორს არ არის
ის დღე, როცა ჩვენ ისინი ქუჩაში დაგვჭირდება
ეცადეთ მათ შეიარაღებას.“

ამ სიტყვებს დამტკიცება აღარ საჭიროა, საჭი-
რო: დაუმატოთ, თომ თომა, რომელიც ეს
მოგვითხრო სოციალისტი არაა, პარიქით სო-
ციალიზმის სატკიცი მოწინააღმდეგეა. მარა ის
ინდენათ პატიოსანი იყო რომ არ ინდომა ასეთ
საზიზლარ საქმეში ჩარევა.

პატონი მარი გულის ფანცქალით ცლოდა
სამა თვის გასვლას, რომელიც პროლეტარიატი
ვადათ დაუდვა დროებით მთავრობას და ეძრადე-

პოდა კიდევ ამ დროსთვის.

ამ დროს განმავლობაში თებერულის შიშით წელში გატეხილშა ბურუუზიამ თავი წამოჰკო, ფეხი მომაგრა და გადაწყვიტა პირელ შემთხვევი. ათანავე გაენადგურებიათ მუშა სოციალისტები. ნაციონალურ კრებაზე წესიერების პარტიას, მთავრობის უაზრო მოქმედების და თან ღლატის წყალობით, უმრავლესობა შეადგინდა. მიუხედავათ ამისა მათ კიდევ ვერ გაეპეღნათ ნიღაბის ახდა და აშკარათ გამოსვლა.

შიმშილობის ვექსილის სამი თვის ვაჟა უკვე გათავდა, მარა არავინ მის გამოსყიდვას არ ფიქრობდა. პროლეტარიატმა უკანასკნელათ თავს ძალა დაატანა, განაგრძო შიმშილი და შეძლო ბურუუზიას დრო მისცა სისრულეში შოეყვანათ დანაპირები.

გავიდა დრო და ბურუუზია აშკარათ დარწმუნდა, რომ მოლოდინი არ შეუსრულდა, ჩაციონალურ სახელოსნოს მუშები, რომლებზედაც ის დიდ იმედს ამყარებდა, არ გახდენ თავიანთ ძრებ სოციალისტ მუშების ჯალათათ. ჯერ სანამ ნაციონალურ სახელოსნოებში შევიდოდენ ეს მუშები ძალიან შორს იყვენ სოციალიზმზე, სოციალიზმის მათ არაფერი გაეგებოდათ, ჩარა შეკყვეს თავი თუ არა სახელოსნოში უროშის პი-

ზეპი პირდაპირ სოციალიზმის გზაზე აყენებდა
მათ, ი. ინი, როვორც საზოგადოთ ყველა მუშე-
ბი, ამ პირობების **წყალობით უკიდურესი სოცი-**
ალისტები ხდებოდენ. ბურჯუაზია საშინლათ მო-
სტუცვდა, მას უნდოდა სოციალიზმის მოწინააღმ-
დებე წესიერების პარტიის რაზემ შეედგინა ნამ-
დვილათ კი წესაერ გის პარტიის შოწინააღმდეგე
თა სოციალიზმის მამხრე რაზემ კი შექმნა. სა-
ჭირო შეიქმნა ნაციონალურ სახელოსნოების და-
ხურვა, მარა ასე ჩქარა ამის სირულეში მოყვა-
ნა მოუხერხებელი იყო. საჩაგიეროთ ბურჯუაზიამ
უფრო სხვა ხერხს გიმართა და ერთ მშვენიერ
დღეს 110, 000 მუშას რომლებიც წვითა და და-
გვით ~~დღიური დეკადას შოულობრივნ ნაციონა-~~
~~ლურ სახელოსნოებში.~~ გამოუცხადა ან ჯარში
ჩაწერილიყვენ და ან სადღაც შორს წასულიყვენ
ჰაობის დასაშრობათ. ჯარში როგორ ჩაწერილიყვენ
მათ ბურჯუაზიისთვის უდა ებრძოლათ და პრო-
ლეტარიატის, თავისი თავის წინააღმდეგ მახვი-
ლი უნდა აეღოთ. მათ ელოდათ ავათმყოფობა
და თირქებს სიკვდილი ჰაობის ციგბისგან-პრო-
ლეტარიატმა ულრჩესი ზიზლით უძველეს უნა-
მუსო წინადაღება. ან სოკურილი ან სიცოცხლე
თუ ბრძოლა იქნება ისევ ჩვენთვის, პროლეტა-
რიატის საქმისთვის ვიბრძოლოთ და მისთვის და-

ვლვაროთ სისხლით გადასწყვიტეს მუშებზა.

დრო იყო ასე თუ ისე უნდა გათავებული-
ყო საქმე. მთავრობამ ყოველ მხრიდან მოაყენა
პარიეს ჯარი, რომლის იმედი მას ქონდა: ტკბი-
ლი სიტყვებით და ქრთამებით მირმხრო თავისკენ
გვირდის სათადარიგო ჯარის კცება, რომლე-
ბიც იმდენათ გონება დაბნელებული და შეუგ-
ნებელი იყვენ, რომ არავითარი წარმოდგენა არ
ქონდათ კლასობრივ შეგნებაზე და ბურჯუაზის-
თვის აღვილი გამოსაყენებელი იარაღი იყვენ:
რაკი ს ქმე ასე კარგათ მოეწყო ბურჯუაზის
უკვე შეეძლო ნიღაბის ახდა და თავის ფიზიო-
ნომიის აშკარათ გამოჩენა.

15 ივნისს ფარანსთა მინისტრმა ბურჯუაზიულმა
რესპუბლიკანელმა გუდუომ ნაციონალურ კრება-
ზე შემდეგი განაცხადა: საქიროა დაუყონებლავ
დაიხუროს ნაციონალური სახელოსნო, ბი. თან
და თანობით მათი განადგურება შეუძლებელია,
ეს ერთბაშათ უნდა მოხდესა ეს კითხვა ეხლავე
უნდა გადავჭრათ. ჩვენ ისედაც ბევრი დრო და-
ვკარგეთ. „ჩვენ ქვემ ყოველგან ასაფეთქებელი
ნალმებია ჩაწყობილი“:

თუმცა კრების ზოგიერთი წევრები ცდი-
ლობდენ აეცდინათ მათვის ეს მოულოდნელი
განსაცდელი და ურჩევულენ მათ თავი დაცნებებიათ

ამ გრუდეგზისთვის, მარა ამაოთ, უმრავლესობის
შეჩერება შეუძლებელი შეიქნა. ორი ათასი ფრანკი,
რომლებსაც ნაციონალურ სახელოსნოებზე ვა-
ნივრულათ მოხმარებით, შეეძლო ფრიად დიდი
სარგებლობა მოეტანათ საფრანგეთისთვის. საპა-
რეს უთხრიდა საფრანგეთს და ნამდვილ გაკო-
ტრები, გზაზე პყენებდა მას. მართალია მ. შინ-
დელი საფრანგეთი იმდენათ მდიდარი იყო, რომ
შეეძლო სახელის გულისხვის მილიადება დაე-
ხარჯა და ისე დაეხტია თავი სირცხვილისგან, მა-
რა თანაც ის უძლიურ იყო დაეხ'. ნა სიკვდილის-
გან დამშეული მუშები, რომლებიც სამუშაოს
თხოულობდენ. რასაკვირველაა, იმ შემთხვევაში,
თუ მუშები დაივიწყებდენ თავიანთ მიზანს, დაა-
ნებებდენ თავს „უაზრო სოციალიზმის აჩრდი-
ლით“ გატაცებას და თანახმა გახდებოდენ მუხ-
ლი მოყვარათ კაპიტალის წინაშე და თაყვანი
ეცათ მისთვის, საჭირო თანხას მათ სიკვდილი-
დან დასახსნელათ „საიდუმლო ფონდიდანაც“
კა გადადებდენ. გულუოს წინადადების მოსახლეო-
ბლათ უმრავლესობამ ეზუიტი ფალლუ აირჩია.
ამან აშკარათ დაანახა ყველას რა უნდოდა უმ-
რავლესობას.

18 ივნისს ნაციონალური სახელოსნოების
მუშებმა შემდევი შინარსის განცხადება გაუგზა-

ცნეს გუდულს; „ჩვენ მუშაობის სურვილი გვაქვს, და სამუშაო კი არაა, ისეთი სამუშაო, როგორიც ჩვენ ნიკს შეეფერება. ჩვენ ვთხოულობთ სამუშაოს, თქვენ თხოულობთ ნაციონალურ სახელობრივის დაუყონებლივ დახურვას. მერე დაფიქტებულხართ თუნდ ერთ წუთი, რა მოუვა იმ შუშებს რომლებიც ამ სახელოსნოში მუშაობენ? რა უნდა ქნას 110, 000 მუშამ და მათმა ცოლ შვილმა, რომლების სიკედილ-სიცოცხლე იმსახეულისნობებზეა დამოკიდებული. ნუ თუ გინდათ ისეთ პირობებში ჩაგვაყენოთ, რომ სახოჭარკეთილებაში ჩავარდნილნი საშიშარ საქმეს დავადგენ?

ვერც ამ კანცხადება՝ და ვერც სხვამ ვერავარარი გავლენა ვერ იქმნია გულქვა ბურჯუებზე! ან კი რაზე შეიწუხებდ ნ თავს. როცა პარის გის გარშემო ბლობა ჯარი იდგა, მომენტი მოხსელოვდა დროა ინგარიში გაუსწოროთ პროლეტარიატს, დროა ბულო მოვულოთ რევოლუციის აჩრდილს, სამუდამოთ ფეხქვეშ გავსრისოთ ჩვენი მოვალე, რომლის არსებობა ჩვენ გვაგებინებს ვალის მოახლოებას. დროა ბოლო მოვულოთ პროლეტარიატს, რომელიც ბჭობს თავის უფრე ებზე და ჩვენს მოვალეობაზე მხოლოდ მარტო საფლავს შეუძლია ამ საშიშარა შტრის დაჩუმება! — დროა

ბოლო მოელოს ჯველა აშას — პკობდა ბურუუზია.

სანამ ნაციონალური კრება ფალლუს წინადადებას მიიღებდა მთავრობამ 21 ივნისს გამოსკა დეკრეტი რომლის ძალმთხცი ნაციონალურ ქადაგის მუშები ან ჯარში უნდა ჩარიცხულიყვენ ან და ქაობიან დღიურებში უნდა წასულიყონ ~~სამართლის~~

მოთმინების ფიალა უკვე აივსო

პროლეტარიატმა ერთხელ კიდევ სუადა ძალა დაეტანებია ბურუუზისთვის. შეესრულებია დანაპირები, გამოესყიდათ „შიმშილის ვექსილი“, მარა ამაოთ. დეკრეტის გამოცემის მეორე დღეს, რემბლითაც ბურუუზია იწვევდა პროლეტარიატს, 22 ივნისს 1848 წელს 1, 500 მუშა ორატორ პუქოლის წინამდობლობით დროშებით გ ემართენ ლიუკემბურგის სასტლისკენ, სადაც ამ დროს სხდომა პეტერი აღმასრულებელ კომისიას და მოიხსოვეს „მუჭალაჭე მარი მუშა მთავრი ჯ ლათი. ეს იყო დილის ათ საათზე პუქოლი შიიღეს.

— მოქალაქე მარი, საფრანგეთის ოევოლუიუტის წინ...

— უკაცრავათ? — გააწყვეტინა მარიმ — ჩვენ მგონია ძალიან შორიდან დავიწყეთ; არ დაივიწყოთ, რომ დრო ჩემთვის ძვირფასია...

— თქვენი დრო დაქცენ კი არა ხალხს ეკუთნის.

— მოქალაქე პუერლი, თქვენ დიღი ხანია
გიცნობდი და თვალ-ყურსაც გადევნებთ.

— ეგ ჩემთვის სულერთია. მას შემდეგ რაც
მე ხალხის სამსახურის თავი შევწირე, მე ვისწავლე
მუქარის წინ არ დავიხიო. თქვენი მუქარა ტყუ-
ილია. ეხლა ამას თავი დავანებოთ, გნებავთ მო-
გვისმინოთ?

— რაკი აქა ხართ შეგიძლიათ ილაპარაკოთ.

პუერლმა აუხსნა მას რატომ იუვენ მუშები
გუშინდელი დეკრეტის წიაალმდეგნი. ამაზე მა-
რამ უპასუხა.

— მესმის თქვენი სიტყვები, მარა უხდა გა-
ხსოვდეთ შემდეგი: უკეთუ მუშები არც ჯარში
გაეწერებიან და არც პროვინციებში წავლენ ჩვენ
ძალით გავგზავნით მათ, გესმით?

— ძალით! ძალიან კარგი. ეხლა ჩვენ გავრ-
გეთ ვისთანაც გვქონია საქმე. ნახვამდის მოქა-
ლაქევ.

მუშები მოუთმენლათ ელოდენ სასახლის
წინ თავიად აწმუნებულის დაბრუნებას. მო-
ისმინეს პასუხი, პუერლი გაუძლვა ხალხს მოე-
დნისკენ, საღაც წარმოსთქვა მოკლე სიტყვა.
„ამხანაგებო“ სთქვა მან — მთავრობამ გვიღალატა;
მთავრობამ სასტიკათ მოგვატყუა; დღეის შემდეგ
ჩვენ იმის ნურავითარი იმედი ნუ გვექნება: ჩვენ
თვითონ უნდა ვუშველოთ თავის თავს: „დღეს
საღამოს 8 საათზე პანთეონთან შეიკრიბეთ“.

გაათავა მან.

„ჩვენ მოვალთ“...

მართლაც საღამოზე დანიშნულ ადგილას 5000 კაცი შეიკრიბა. დაიწყეს სიტყვების წარმოთქმა. —ჩვენი მოტყუება უნდათ ისე, როგორც 1843 წელს, მარა ჩვენ მათ ნებას არ მივსცემთ; ჩვენი ასე უნამუსოთ გათელვისას, უმჯობესია გრძოლაში დავიხოცოთ, ვიდრე შივშილით. სამუშაო ან სიკვდილი!

—დაიფიცეთ, რომ მედგრათ იბრძოლებთ თავიანთ უფლებებისთვის— დაიჭიქა პუუოლშა. — ვფიცავთ!

ხვალ დილით ექვს საათზე ამავე ადგილზე! მოხვალთ!

დილით 23 ივნის 1848 წელს მოედანზე 10 ათასამდე მუშამ მოიყარა თავი. პანთეონის კრეპაზე დადგა პუუოლი და შემდეგი წარმოსთქმა:

—მოქალაქენო! თქვენ შეასრულეთ თქვენი სიტყვა გმადლობთ: წინ!

თავიანთ წინამძღოლების ჩვენებით, რომ-ლებსაც განსაკუთრებული ნიშნები ეკრათ მკლავზე, და ხელში დროშები ეჭირათ, ბრბო რიგზე დაეწყო და გაემართენ ბასტილის მოედნისკენ. წყნარათ გაიარეს თავისუფლების ძეგლთან სა-დაც წინეთ მონობის ცოცხლათ გამომხატველი ბასტილია მრისხანეთ გადმოსუჭიროდა, მონაბის ჯაჭვებში განლაგოთ პარის. ისე, როგორც

ოდესალ ც გლადიატორები მიესალმებოდენ ხოლმე
ცეზორებს, რომლებიც თამოვნებით უცქეროდენ
შათ სამკუდრო — სასიცოცხლო ბრძოლას, პრო-
ლეტარებშა მისცეს უკანასკნელი სალამი თავისუ-
ფლებას;

თავისუფლებავ! შენი გულისოვის მოვდი-
ვართ სასიკვდილოთ შენ გიძლვნით ჩვენ უკანა-
სკნელ სალამს:

ცოტა ხწეს უჭან გაისმა ხმა: „ენდცის
ცუჩისკე“.

— გაჩერდია!

შუშათა ბატალიონები სენდცის ქუჩაზე გავიდა.
ცოტა ხნი სიჩუმე ჩამოვარდა და შემდეგ ისევ
ვასმა მქუხარე ხმა:

— „იარ ლ! მოჰკიდეთ ხელი“.

ყევლანი თავ თავის დღილას დადგენ და
თავიანთი მოვალეობის ასრულებას შეუდგენ.

ერ გასულა დიდი ხანი რომ მუშებს ყვ-
ლა უბნები და აგრნისეინტების უმთავრესი ადგი
ლები ბარიკადებით მოიფინა ისე სწრაფლათ მოხ-
და ყველაფერი რომ ბარიკადები, გაკეთებას ხე-
ლის შეშლა ველარ მოაწრეს, ბრძოლა
თან დათან გახურდა. სამი დღი, განმაჟლობაში
საშიშარი ბრძოლა იყო, ბარიკადებზე ამაყათ
ფრიიალებდა წირელი და შავი დროშები. ამ
ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა ან სიკვდილი ან
თანამცდროვე წყობილების ძირიანათ აღმოფხვრა.

პროლეტარიტი თხოულობდა პურს და თავისუფლებას. ბოლოს 26 ოქტომბერის სამჯერ უფრო მეტმა ძლიერმა მცერმა (150,000—50,000—ის წინააღმდეგ) აიღო პროლეტარიატის უკანსკნელი სიმაგრე და გასრისა ხალი თაზოგალოების გმირი— მოხაშენი. დამარცხებულმუშაოა გაცივებულ გვარზე ამ დღეს ბუჩქუჩიაშ ქერთი გამართა და გამარჯვებით დამთვრებულმა შური იძია ტყვეთ ჩავარდნალ და დაჭრალ მეცნრძლი მუშებზე.

II

ყველგან გაცხარებული ბრძალა იყო; როგორც კი აიღებდენ ბარიკადას მაშჩნევ ხოცუვდნ ყველას ვინც იქ იყო. ვარიუს ჰოველ კუთხიდგან მოაწვა ნაციონალური გვარდია, „წესიერების“ დასაცველათ. წმინდა ასევერიანეს ქუჩაზე გამხეცებული სალდათები პირდაპირ ჭანჭრიან ისვრიდენ აჯანყებულებს ქუჩაში ამ სიტყვებით: „ეს ძალები ერთ თოფის გასროლათაც არა ლირსო.“ ბევრზა აჯანყებულმა მუშებმა მიიყვანეს თავიანთი ცოლშვილი ბარიკადებზე, „რაკი ჩვენ არ შეგვიძლიან მაგათი. რჩენა ისევ ერთათ დავიხოცოთ“. როცა ქმრები იბრა ვირობ ცოლები თოფის წამალს უმჩა და ბავშვები ტყვიებს ასესაშტან. ლამ ჭამობით, როცა მებრძოლთ ეძინათ, ქალი-შეირცები ქვებს აგროვებდენ და ბარიკადებს ამაგრებდენ.

თავის დღეში გაბატონებული კლასი ვერ

მოირეცხს იმ უნამუსობის ჩირქს, ამბობს ერთი ბურუუაზიული რესპუბლიკანელი რომ მან დაარღვია პირობა და როცა აჯანყებული მუშები და ნებდა ერთი არ გაუშვია, სუკველანი დახოცაო. არასოდეს რევოლუციის შემდეგ ამდენი ტყვე არ ყოფილი (15 დან 20 ათასამდე) და არასოდეს ასე მხეცურათ არ მოქცევიან დამარცხებულ მტერს. ბარიკადებზედ დახოცილთა რიცხვი 500 მდე იყო; დახოცილ ტყვებთა რიცხვი კი, თუმცა ეს დაუჯერებელია, მარა 2000, 3000 მდე იყო. ბურუუაზია ანგარიშ მიუცემლათ მოიქცა, ის დათვრა გამარჯვებით და ხარბათ დაეწაფა მუშაოთა სისხლს. არა არ შეიძლება (?) ამაში კავენიაჟი გავამტყუნოთ, თუმცა ის დანაშაულია იმაში, რომ მან დროზე არ მიიღო ზომები ამ უბედურების თავიდან ასაცდენათ.

ბევრ თავის პროკლამაციებში ის უცხადებდა მუშებს, რომ რესპუბლიკა სიხარულით მიუიღებს აჯანყებულებს, რომლებიც სინანულს განიაცხადებსო. თითქმის უკანასკნელ პროკლამაციებშიაც სწერდა: „წყეული იყოს ჩემი სახელი უ... შე უავაწენებდე იმაზე, რომ გამარჯვებულებუ შე დამორჩებულებუ აღმის გარდა რამე ნახოს ჩემმა თვალებმა, მსხვერპლი ასე სენტებრა!“.

ამ დაპირების წყალობით მრავალი მუშები დამორჩილდენ. ამით ისარგებლა ბურუუაზიამ და ჯალაობას მიჰყო ხელი, ბევრი მათგანი და-

ხვრიუეს, ზოგიც გაგზავნეს ქალაქის სახლში, შარა შანამდე ველარ, ძიახტიეს გზაზე დახოცეს ყველანი. აუარებელი ტყვეები გაგზავნეს ხიდზე, სადაც ორივე მხრით გამწკრივებული იყო გვარლის ჯარი და ოფორტი კი ტყვე შედგამდა ფეხს ხიდზე მაშინვე ესროდენ და კლავდენ. ჯარი იმდენათ შევიდა ოოლში, ოომ ანგარიშს მიუკემლათ ესროდენ, რის შედევიც რამდენიმე ამხანავ ჯარის კაცის სიკვდილი იყო. ლუი ფილიპეს ხიდიდან ორმოცი აჯანყებული გადაისროლეს წყალში ვითარცა ნაფოტი. პევრი წინარე სენაში გადაჰყარეს დ ზევიდან თოფებს, ესროდენ და ჰკლავდენ. ერთ აჯანყებულს, რომელებმაც წინამღდევობა. გაუწია ჯარს, ერთმა სალდათმა ზურგში დასცა ხიშტი და როცა მან სიმწრისაგან საშინლათ დაიღრიალა და მოინდობა გაქცევა, 27 მა სალდათმა ერთათ დახალა თოფები გამხეცებულმა სალდათემა ეს არ აკმარეს და როცა მისი დაფლეთილ, გაციებული გვამი მიწაზე ეგდო თოფის კონდახით ფანაყეს თავი, ოომ არ გაცოცხლებულიყო.

~~მაგრამ - (დროებითი მთავრობის წევრი და კავენიაკის კაბინეტის მინისტრი)~~ ამჯობინა ტყვეები ქალაქის სახლის საჩდაფში ჩაეყარა, ვიდრე გვარდისთვის გადაეცა, რადგანაც გვარდია შეუბრალებლათ ხოცდა მათ.

დაუჯარებ-ლ ამბავს გადმოგვცემენ რა საზარელ მდგომარეობაში იყვნენ ტყვეები სალდათებში. სარდაფში წყალი იდგა და ტყვები მუხლამ-

დე წყალში იდგენ, საცოდავათ ერთი ცრობანების ეკროდენ და ელოდენ სიკვდილს. სარდაფში 32 საფეხურთა კიბე ჩადიოდა და ამ სიმაღლიდან რომელც ბურთს ისე ისროდენ საბრალო მუშავებს. ისე რომ ნახევრათ მკვდარი ეცემოდა ძირს აყროლებულ წყალში. ბევრი მათგანი სამი დღის განმავლობაში უჭმელი ეყარენ. როცა რომელიმე დაჭრილთაგანი წყალს მოითხოვდა, გვარდიის სალდათები წყლის ჩაგიერ მათ ტყვიებს უგზავნიდენ. ისროდენ ფანჯრიდან ანგარიშ მიუკრალათ. ერთმა ოფიცერმა მოინდობა ამ საშინელების აკრძალვა და ამისათვის ის კინაღამ მოჭედს სალდათებმა.

ბევრი დაჭრილები იქვე კადებოდენ და მათი ამოტანა შეუძლებელი იყო, ცოცხლები ყოველ წუთს ელოდენ სიკვდილს ამ მყრალ და ბნელ სარდაფში, სხვა და სხვა ხულიან აფიცრების მეთაურობით დაარსდა სამხედრო სასამართლო, საჯაც ყოველივე კანონს გარეშე, აფიცრების სურვილით სიკვდილით სჯიდენ ჯანყნბულებს.

დანაშაულობის დასამტკიცებლათ საკმარისა იყო გამურული ხელები, რომ სიკვდილით დაწსაჯათ. გამურული იმის ნიშანი იყო, რომ თოფის წამალი უხმარიაო, შეამჩნევდენ თუ არა ვისმე პირდაპირ ხვრეტდენ. დახედავდენ ხელზე და ვისაც გამურული ხელი ჰქონდა ცალკე კა-

რებში უშეცვლდენ, და „გაუშვიათ“ დარ ხებუქ
ეს იმის ნიშანი იყო, რომ მოკალითო. გა-
ივლიდა თუ არა კარებს ტყვე იქვე უსულოთ
დცემოდა ტყვიის გულ განგმირული. ზოგს ჩა-
განს რკინის ჭანგებზედ ჰკადებდენ და ახმბდენ
ეზოში დახოცილთა გვამების მთელი გორა იკ-
გაკეთებული.

როცა ქალაქის სახლის სარდაფი ტყვე
მუშებით ისე გაიჭედა, რომ ალაგი აღარ იყო
და ჯარს კიდევ წოპყავდა. დარაჯები უკანვე
ისტუმრებდენ და „აქ აღაგი არ არის წმინდა
ჰაერზე წაიყვანეო“ უყვიროდენ. ეს სიტყვები
იმის ნიშანი იყო, რომ წაიყვანეთ და დახოცეთ:
ინისის აჯანყების შემდეგ ეს საზარელი სიტყვე-
ბი „გაიყვანეთ წმინდა ჰაერზე“ კიდევ დიდხ.ნს
შიშის ზარს გვრიდა ყველას, როგორ აუარებე-
ლი ხალხის სიკვდილით დასჯის ნიშანი. ეხლაც
აჩვენებენ ს. უანის დარბაზს ქალაქის სახლში
სადაც დახოცილთა მთელი გროვა ეყრდნა და
წყლის პრის ქუჩას სადაც ადამიანთა სიხლის
ნაკადული. ხრიალ-ხრიალით მიექანებოდა ქუჩა-
ში. ბევრი უბნები ეხლაც ახსოვთ მცხოვრებე-
ლებს, როგორი ბარიკადები იყო გამართული და
აჯანყებულებს სიკვდილით სჯიდენ. როცა მეც-
ხრე ოლქის ნაწილი აილო ნაციონალურმა გვა-
დიამ, ყველა მუშები, რომლებიც კი ტყვეო
ჰუვარდათ ხმა ამოულებულივ დახვრიტეს და გვა-

შები ისე ეყარენ თითქო განგებ პრიკაცები გაუ-
კერებიათო. გამხეცებული გვარდიელები ხელ-
ფეხს უკრავდენ აჯანყებულებს და ისე ისროდენ
შლინარეში.

ქუჩაში ნამდებილი ომი იყო გამართული
და ვის-ც მოასწრობდენ უმოწყალოთ ულეტდენ.
ვაშეცებული ჯაზისოვის არ იყო არავითარი
შებრალება.

წ. იოანეს მოედანთან ერთ ქუჩაში მოიმ-
შვდიეს ხალხი და ამბობდენ, რომ როცა მათ
ხვრეტდენ ფანჯრებიღან*) სტკებოდენ ამ სანა-
ხობით და ტაშს უკრავდენო. *სტკებოდენ*.

შშრალი სიტყვებით ძნელია იმსაზარელი
მჯგომარეობის აღწერა რომელშიაც სარდაფებ-
ში ჩამწყვდებული აჯანყებულნი იყვენ. ისეთი
ბევნიერნი, რომლებიც საღმე კუთხეში ტალახის
გროვას იპოვნიდენ, რომ ჩამოშვლარიყვენ ზეთ,
იკიწყებდენ ყოველივე ზიზღს, ივიწყებდენ, რომ
ეს სიბინძურე იყო და თავიანთ გამურული
პირის სახით მაგრად ეკროდენ ამ ტალახის გრო-
ვას, რომ ცოტათი გაეგრძელებიათ ანათებული
სახე ერთმა შემთხვევით დაჭრილმა, მარშალმა,
იშოვნა პატარა ალაგი ორ ფიცარ შუა,. მოი-

*) რასაკვირველია ეს ქალები „მაღალა“ განათლე-
ბულ წოდებას ეკუთვნიან. პროლეტარიატის ქალებს არ
შეუძლიათ ტაში დაუკრან მაში, როცა მათ ძმებს ხოკ-
დენ.

კუნტა ძალლივით და ამ ყოფაში გაატარა სამი
დღე ლამე. ზოგიერთები, რომლებიც სარდაფის
ფანჯრებთან ახლოს იყვენ, შეეძლოთ ცოტაო-
დენი ცივი ჰაერის ჩაყლაპვა, მარა ვაი მათი ბრალი,
საშიშრათ ეს ერთი ბეწო ჰაერის ჩასუნთქვა
სიცოცხლეთ „**უჯდებოდათ**. დარაჯები როგორც
კი ჟეამჩევდენ ვრცელეს ფანჯარასთან, ან ხმა მალლა
ლაპარაკს გაიგონებდენ სარდაფიდან უნამუსოთ
ესროდენ თოვებს და ხოცდენ. ამისგამო საბრა-
ლო ტუსალებს ხმა ვერ ამოელოთ და ჩურჩულით
ეკითხებოდენ ერთმანეთს, სად დაიკირეს, მარ-
თლა დახოცდენ, როგორც ხმები დადიოდა თუ
არა და სხვა. ჯალათი დარაჯები ჩურჩულით
ლაპარაკსაც არ ანებებდენ და გმუქრებოდენ
ერთი სიტყვა რომ გავიგონოთ ფანჯრებს ამოგი-
ქოლავთო. ფანჯრების ამოქოლვა კი იმას ნიშ-
ნაფდა, რომ ყველა იქ მყოფნი უჰაეროთ დაიხრ-
ჩობოდენ და ამის შიშით ფანჯულ მუშებს ხმა
ვერ ამოელოთ და საზარელ მდგომარეობაში
ატარებდენ დღებს. სიჩურეს ხანდახან ახალ მო-
ყვანილ ტუსალის საზარელი კვნესა არღვევდა
ვარა ჯალათი დარაჯები იმათაც მალე აკმენდი-
ნებდა ხმას. სარდაფუში ისეთი საშიშარი იცხე და
მყრალი ჰაერი იდგა, რომ ბავრი სულ ტიტვე-
ლი ეყარა, მარა რთვლი მაინც წყალივით ჩამოს-
დიოდა. ამბობდენ, გვარდიელებმა იმდენ სრმებ-
ცემდე მიალწიეს, რომ სარდაფების ფანჯრები

ამოქოლეს და ყველა იქ მცოფნი კატებივით
გამოიხრმობოდენ, რომ სალდათები დროჩე არ
მიშველებოდენ და არ გაეღოთ ფანჯრებით.

III . . .

აუარებელი ტყვეები ჩაჰყარს ქალაქის სახ-
ლის ქვეშ ორმოებში, რომლებშაც თითქმის გთელ
პარიუის ნახევარ ბუხოვრებლებს დაიტევდა იმო-
დენა. იყო. იქ, ამ ორმოში, ისეთი საზინელისი-
ცივე იყო რომ ყველა იქ მცოფნი გიერივით
აქეთ იქით დაჩბოდენ, რომ ცოტათი გამთბარი-
ყვენ. ცავ ქვაზე დაწოლა აც ვერავინ ბეჭავდა.

როცა ამ გაუთავებელი სირბილით იღლე-
ბოდნ ერთი მეორეს ეკვრებოდენ, რომ ცოტათი
შეგთბარიყვენ.. დრო გამოშვებით როგორც ძალ-
ლებს ჩამოუგდებდენ ხოლმე პურს და ამ დროს
ისეთი ჩხერი ასტყდ ბოდა ხოლმე ლუკმა პურის-
თვის, რომ თვითეული მათგანი მხარ კო წაეხრ-
ჩო მოწინააღმდეგე ოლონდ შიმშილი მოეკლა.

ზოგიერთი ტყვეები ტიულიერის სასახლის
ქვეშ ორმოებშიაც იყვენ ჩაყრილი. არავინ მგო-
ნია ისეთ საზიზლარ მდგრმარებაში არ იქნებოდა,
რომაც ეს საცოდავბი იყვენ. ენა ვერ ასწერს
მათ საშიშარ ტანჯვა-წვალებას. დარაჯები სასტი-
კად უშლიდენ მათ. პატარა სანათურებთან
მისევლას, საიდანაც სინათლე ჩადიოდა ორმ-
ოში ბეტის მეტ ციწროობის გამო ზოგიერთი
მათგანი, თავის და უნებურათ მიუაბლოვ-

დებოდა. სანათურს, დაინახავდა თუ არა
დარაჯი უნამუსოთ ესროდა თოფს და იქვე
ტოკლავდა. დარაჯები განძრევის ნებასაც კი არ
აძლევდა საპრალოებს, და ყოველ წუთს მზათ
იყვენ იქვე მოეკლათ უკეთუ რომელიმე მარგანი
სანათურს მიუახლოვდებოდა ცივი ჰაერის ჩაა-
ყლა: პავად. ამას ასრულება ძალა უნებურათ წეუ-
ძლებელი იყო, რადგან ორმოში ისე . საშიშარი
მყრალი ! უნი იდგა, რომ იქ მყრფნი თავის და
უნებურათ ინსტიქტიურ სანათურს უახლოვ-
დებოდენ და ცვი ჰაერის მაგიერ დარაჯის მურ-
ტალი ტყვიით გულ განგმირული იქნებოდ-
ნ. ამ საშინელ მდგომარეობაში ორასამდე კა-
ცი კერაზე შესცდა ამ ორმოში. როცა ისინი
რიცახლოვდებოდენ სანათურებს. დანარჩენები
უკვ როდენ დარაჯებს „არ ესროლოთ გიუები
არიან“-ო, „ნუ უშეებთ აქეთ“ იყო პასუხი.
„რმდენი გიუებია აქ რომ, ყველას დაჭრა ჩვენ
არ შეგვეძლიან“-ო უყვიროდნენ ტყები. „და-
ახრჩევთო ყველანი, თორემ ყველას აოველებ ავ-
თ“-ო ჩასძახოდნენ დარაჯები და ამ სიტუაციის
შემდევ იგრიალებდა თოფი და რომელიმე გიუ-
თავანი იქვე გცემოდა უსულოთ. თოფის ხმაზე
ყველანი მიჩუმდებოდენ და სიჩუმეს. მხოლოდ
გიჯების საზარელი ხარხარი არლვევდა. ყველა
რქ შემფა კარგათ იცოდა, რომ სიკვდილი
ეჯოდა მას, ყველა სანათურებიდან გათკენ სალ-

დათების თოფი იყო მიშვერილი, მარა კონხვა
მხოლოდ იმაში იყო ვან მოკვდებოდა უწინ.

დეპუტატმა კოზმენიმ, რომელმაც იმდენი
გაბედულება იქონია, რომ ამ უბედურების მდგრ-
მარეობაში შევიდა, ბარანება გასცა, რომ მჯვდრე-
ბი გამოეტანათ ორმოდან. თიჯონ მოინდომა
ორმოში ჩასვლა და თავის თვალით ნახვა ყველა
ამ საშინელების მარა, გადადგა თუ არა ფეხი
კარებზე ისეთი საშინელი მყრალი სუნი მოხვდა,
რომ თავბრუ დაეხვა და კინალამ დაეცა. ამ
დეპუტატების წყალობით გადარჩა ხლობი სახალი-
საგან ამოულებას.

ასე ბარბაროსულათ ექცეოდენ ყველა იმ
ტყვეებსაც, რომლებიც სამხედრო სკოლის ქვეშ
ორმოებში, წმინდა ბენედიქტეს მონასტერში
და სხვაგან ეყარნები. ერთ სატოსალოში დაჭრილი
ტყვე ცოკხლათ დასწვეს.

განა დასაჯერდელია ის, რომ ასეთ საზარელ
მდგომარეობაში დარჩენას არჩევდენ ტყვეები,
ვიდრე გარეთ გამოსვლას?! დარაჯი საჭდათები
ხშირათ ეუბნებოდენ მათ. „თქვენ საყვედურობთ,
რომ ასეთ პირობებში ხართ მარა გარეთ რომ
გაგიშვათ ნაციონალური ჯვარდია. არც ერთს
თქვენგანს არ დაინდობდა და ლორევითი გა-
მოგვრიდენ ყელებს“-ო.

ეს მართლაც რომ ასე იყო. ტყვეები. ამ
ნაღირის მდგომარეობაში იყვენ, რომლებიც მტერს

გაურბის და თავი საშიშარი ადგილისთვის შეუ-
ფარებია. თუმცა , ს გრძნობს, რომ ავ საშიშარ
ალაგზე ყოფნა მეტის მუტათ აუტანელია შისთვის,
მარა ძალა უნებურათ რჩება იქ, რომ მტრის
მსხვერპლი არ გახდეს. ჯარი, რომელიც ტუსა-
ლებს ახლდა, დიდის გაჭირვებით იცავდა მათ
გამხეცეულ გვარდიელებრისაგან. საბრალო ტუ-
სალებს შიშის ზარს სკემდა იმის მოგონება,
რომ ორმოდან ამიავლის დროს მათ თოფებს
დაუშენდენ ნაციონალური გვარდია. ისეთი
შეხედულობა დაიმსახურეს მ-თ საზოგადოთ, რომ
თითქმის ივნისშიაც შიში გვრიდა ყველას ნა-
ციონალური გვარდიი: შეხვედრა. სალდათები,
რომლებიც ტყვეებს დაჰყვებოდენ, ზშირათ
ყოვლად უმიზესოთ იქერდენ გზაში გამვლეოებს.
საკმაო იუ უბრალოთ ჩიტომული ყოფილიყო
აღამიანი, რომ მაშინვე იქერდენ. ამ დღეებში
გამოიგონეს „აჯანყებულის“ სახე (ფაზია) და
ყველას ვისაც ამ გამოგონებულ სახე, მიუგავდა
სახე მაშინვე იქერდენ. გზაში ტუსალებს კრინ-
ტის დაძვრა არ შექლოთ. საკმარისი იყო ვინმეს
ერთი სიტყვა. წარმოეთქვა, რომ მაშინვე იქვე
გააგორებდენ. ყოველ მხრიდან მათ გზაში ჯარი
ერტყა და რომ რომელიმე მ.თვანს გაქცევა არ
შესძლებდა ჯარი სასტიკ თვალყურს ადევნებდა
მათ. ყველა თითქმის ერთი ე-თმანეთზე რყო
ბიკრული და ისე მოელოდენ ტუალები უმეტეს,

ნაწილათ ლამით გადაჰყავდათ სატუსალოში და
ეს კადევ უფრო მეტ საზარელ გაკლენას ახდნ-
და მათზე.

როცა ისეთ ადამიანს ჩაუვარდება თოფი
ხელში, რომელსაც ის თავის დღეზი არ უნახავს,
მას იმდენათ აშლილი აქვს სროლის სადერლე-
ლი, რომ ერთი თოფის გასროლა ერთ რამეს
ურჩევენია. ასეთ მდგომარეობაში იყვენ პროვინ-
ციელი გვარდიელები, იმათ იმდენათ აშლილი
ქონდათ სროლის საღერლელი, რომ თავისიანებს
და სხვებს ალარ არჩევდენ და ხშირათ თავის
ახხანაგ სალდათებს ესროდენ თოფს, როცა
რგონი ტყვეებს აცილებდენ. ასეთი ამბავი მოხდა
კარუსელის მოედანზე, სადაც გვარდიელებს სალ-
დათები ტყვეები ეგონათ და თოფები დაუშინეს
და ბევრი მათგანი დახოცეს. ამ არეულობის
დროს ბეჭრია ტყვეებთაგანმა მოინდომეს გაქცე-
ვა, გას. ოოკორც კი ვინმეს ეზოში შევარდებო-
დენ შეშინებული სახლის პატრიონები ქუჩაში
ერეკებოდენ, სადაც მათ სალდათების ტყვიები
ელოდათ ამ დროს ტიულიერის სასახლის ქვეშ
ორმოებთან მდგომ დარაჯებს ეგონათ, რომ
ისე ბრძოლა ატყია და იმდენათ გაბრაზდენ,
რომ მიაყარეს ორმოს პირზე ჩალა წაუკიდეს
ცეცხლი და ბოლით გაავსეს ორმო, თანაც თოფებს
ესროდენ და უყიოროდენ შიგ მყოფთ „ფრთხი-
ლათ, ფრთხილადთაო“ რომ დროზე ამ არეულო-

ბას პოლო მოღებოდა უთუოთ ყველა ტყევებს დახო კდენ ორმოში.

დაუჯერებელია ის ამბავი, რომ პალე — რო-იალე თრმოსთან ხელებ შეკრული ტუსაღები მოჰყავდათ და იმ სიმაღლიდან როგორც ბურთს ისე ისროდენ თრმოში. პარლევგინის გადმო/ცემით არომელშაც კარგი დიდი ხანი გაატარა იქ და საყურადებო ცნობები გადმოგვცა, აღამიანი თურმე ბევრ საზარელ გაჭივრებას აიტანს. პარ-ლიგნის გადმოცემით აშკარაა თუ რა საზიზლ-რობის ჩადენა შეეღძლია ჩვენ განათლებულ საზო-ვაჯოებას, როდესაც მის საფუძველს შეეხება ვინ-ჩე, როცა მათ ზადა ეხსნებათ სისხლის სმის და ბოცვა-ულეტის.

პალე-როისლოს თრმოში დამწყვდეულნი საზარელ მდგომარეობაში იყვენ. დაჭრილები ყოველ წუთს სიკვდილს ელოდენ თუმცა დაჭრი-ლები მათ ლაპარაკს არ უშლიდა. მარა იქ მაინც არავათარი ხმაურობა არ იმოდა. ყველას ხმა ვაეკმინდა და უხმოთ იჭანდა უზომო ტანჯვა-შვალებას. ხანდისხან გაისმოდა უზომო ტკივი-ლების გამოწვეული მწარე კვნესა და გიუების უაზრო ხარხარი. როგორც ყველგან გიუები აქაც ბევრი იყო. ენა ვერ გამოსთქვამს რა ხდებოდა ამ ჯურიმულში. აგერ ერთი ტუსალი ხმა მაღლა ლოცვას კითხულობს, იქ მეორე ამბობს თავი უნდა ჩამოვიხრჩოვო და როგორც გამხეცებული ნადირი გარბის ერთი კუთხიდან მეორისკენ და და ისე ასრულებს თავის განზრახვას, რომ ხელს არავინ უშლის. აგერ ერთი ხმა მაღლა გაპყვირის და საშინლათ ლანძღავს გვარდიის სალდათებს,

რომლებც მათ დარაჯობენ: „გვარდიაში ჩემი
ლეიძლი შვილია და მომეულეს აბა იმან წე“. ის
მამის შკვლელი გახდება“. აქ ყვირილზე დარაჯი
ტყვირიდა კიდევ ერთი ხმა და გესვრი, მარა
ეს მუქარა ვერ მოქმედებდა. ორმოს კუთხეში
ერთი ერთმანეთზე ეყარენ დაჭრილება. რომლებიც
სისხლისაგან იცლებოდენ და უოეელ წუაპი
ელოდენ სიცოცხლისაგან განთავისუფლებას.

როცა დაჭრილები სალგათების ზექის ხვას
გაიგონებდენ გულგრილათ ამბობდენ, ცხლა კი
მოვიდა დრო დაგვხოცავენო. გამწარებული დაჭ-
როვები წყალს თხოულობდენ და საცოდავი
ბლაოდენ ან წყალი ან სიკვდილი.

ხანდისხან მოწოდებდენ ლიტრით წყა-
ლს და უნდა გეყურებიათ რა ამბავი ხდებოდა
მაშინ იქ. როცა ერთი სვამდა მეორე ისეთი თვა-
ლებით მისჩრებოდა თითქო ჩაყლაპვას უპრეცესი
და გამხდარ ტუჩებს საცოდავად აწკლაპუნებდა.
სმის დროის ხშირათ წყალში კრილობის სისხლი
ერეოდა, მარა ამ საზარელ სამელსაც ი'ე ეწა-
ფებოდენ დაჭრილები, როგორც უკვდავების წყა-
როს. მოკლავდენ თუ არა წყურვილს დაჭრი-
ლია ტანჯვა ერთი ორათ სუსტდებოდა. ხან იქ
ხან იქ გაისმოდა საზარელი ოხერა: „ოხ ჩემი
შვილებო! ოხ ჩემი ცოლო! ღმერთო, ვინ გაჭ-
ჩენთ თქვენთ ეხლა“ და სხვა. ამ ოხერა კვნესა
მხეც სალდათების ხარხარი და თოფის გრიალი
უერთდებოდა.

ამ საზოგადოების ტანჯვა წყალებას არა-
არ მოეღო ბოლო. ორი დღის შემდეგ განი-
გამოიყვანეს და ხელებ შეკრული სხვა სატურა-

ლოსკენ გაგზავნეს: ხელებ შეკრული და ცემა-ტყეპით როგორც აჩრდილება ისე მიბობლვილენ ეს საცოდ ვები. ბევრი მათგანი ორმოლან ამოს-ვლისთანვე როგორც მკვდრები ისე დაეცენ. მა-წაზე. მათ გაცითრებულ პირის სახეზე მხოლოდ ურთი სიტყვა იყო აღბეჭდილი „წყალი“ ასე წა-ათრიეს ეს ბედკრულნი სავათმყოფოში.

მარა იქაც ვერ იქმნენ ეს ბედკრულნი მო-სცენებით, იქაც საავათმყოფოს გარშემო დარა-ჯები იდგენ და ისეთივე სასტიკათ ეპყრობოდენ, როგორც ორმოებში, მოელი დღე და ღამე სას-ტიკათ თვალს ადევნებდენ მათ დაიმრს ნე?ასაც კი არ აძლევდენ, რომ ერთი მეორეს დალაპა-რაკებოდენ და ამ-თ ცოტა შეემსუბუქებიათ თა-ვრანთი ტანჯვა. საკმარისი იყო დაჭრილს ერთი ხმა ამოელო, ან ერთი მწარეთ დაეკვნესა, რომ და-რაჯი. მზათ იყო იქვე მოეკლა.

იმდენათ გამხეცებული იყვნენ გვარდიის სა-ლდათები რომ როგორც რომელიმე დაჭრილი პო-დვას დაიწყე? და უყვაროდენ: „ჩუმა, თორემ გესვრსთო“, უთუოთ ყველა დაჭრილებს დახო-ცავდენ, რომ სტუდენტებს არ შეეშალათ მათ-თვის ხელი. საზოგადოთ ავათმყოფის მომვლელი ქალები გულ-ქვანი აზიან და ერთი დაჭრილის სიტყვით ამ სავათმყოფოში იმათი ხმა ისე ეჩვე-ბოდათ თურმე, როგორც საკუთარი დედის. ერ-თი მათი განახვა დაჭრილებს იმედს ულვიძებუათ

თურქე, რომ ივინი იხსნიდენ პათ შტარვალ და
რუკიდიდან. სავადმყოფოში მლდამ დღე ნაციო-
ნალური გვარდიის აუარებელი სალდათები მი-
დიოდენ, რომ ახლოს ენახათ აჯანყებულნი.

რადგან ნაციონალურმა გვარდიაშ როგორც
საზოგადოთ ეს აზრი იყო გამეფებული „გადაა-
რჩენა საზოგადოება“, მას შეეძლო რასაც მოი-
სურვებია. ის ექნა დამშლელი არავინ ყავდათ.
ეკიბებს კონტის დაძრაც არ შეეძლოთ, რაც
ეუნი საავათმყოფოში შედიოდენ. პროვინციი-
ზან მოსულ ნაციონალურ გვარდიის სალდათების
თავებასულობას საზღვარი აღარ ქონდა. სანამ
უკან დაბრუნებდენ იგინი ურცხვათ ეკიდებოდენ
დაჭრილებს სავადმყოფოში და ხმალ ამოწვდი-
ლნი სიკვდილს ემუქრებოდენ.

სავადმყლეოში დაჭრილი გვარდიელებიც იყვნენ მარა იმათი საწოლები ცალკე იყო გამართული.

როცა მარრამ ჰკითხა პროფესორ რუს რამდენია გვარდიელთა დაჭრილი სავაადმყოფოში და რამდენი აჯანყებულთაგანიო შესანიშნავმა ქირურგმა იმდენი გამბედაობა გამოიჩინა, რომ თამამათ უპასუხა: „არ შემიძლია“ ამის პასუხი მოგცეთ, რაღაც მე მხოლოდ დაჭრილებს და ავა უმყოფებს ვხედავ აქ, სხვას არავისო“.

ასე დიდებულათ ისახელა თავი საფრენგე-
ოის ბურუმაზიამ 1848 წელს.

ახლად გაწყობილი
მსწრაფლ-მბეჭდავი

„ლ Ա Ր Վ Ա Ր Ո“

სემენოვის ქუჩა № 4 6. გ. ქართველიშილის
სახლებში.

იღებს და ასრულებს ყოფელი მასტამბო საჭელ
სწრაფად და იაფათ.

იქვე იყიდება ფას დაცლებით ყოველივე
ახალი და ძველი ჭამოცემული წიგნები: კ. ა-
ვართქილაძის, „გამომცემელთა ამხანაგობების“,
წერა კითხვის საზოგადოების, ვ. გადელიას და
სხვა და სხვა.

ფოსტის ადრესი: ტიფლის ქ. თავართკილაძე.

ფასი ერთი შაური 990